

შესწავლილია 9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-*b*]ქინოქსალინისა და მისი ნ-ბენზილ ნაწარმის რეაქციისუნარიანობა სპილენძ-კატალიზური ულმანის რეაქციაში. 5-იოდინდოლინ-2,3-დიონისა და *o*-ფენილენდიამინის კონდენსაციით სინთეზირებულია საკვანძო ნაერთი 9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-*b*]ქინოქსალინი. ამ სისტემის ურთიერთქმედებით ბენზილქლორიდთან სუპერფუძე არეში მიღებულია 6-ბენზილ-9-იოდ-6H-ინდოლო[2,3-*b*]ქინოქსალინი. ამ კანასკნელის რეაქციით ბენზილამინთან, კატალიზატორ CuI -ის თანაობისას, დიმეთილფორმამიდში სინთეზირებულია მიზნობრივი ჰეტეროციკლური სისტემა 6-ბენზილ-N-ფენილ-6H-ინდოლო[2,3-*b*]ქინოქსალინ-9-ამინი.